სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№ 01-04/44 4.07. 2022 წ.

არჩევით, თავისუფალ სასწავლო კურსებზე და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილი კრედიტების ასათვისებლად სტუდენტთა დარეგისტრირების პირობებისა და შესაბამისი სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების შესახებ

არჩევით, თავისუფალ სასწავლო კურსებზე და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სტუდენტთა დარეგისტრირების პროცესის ორგანიზებული წარმართვისა და შესაბამისი სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების მიზნით, **ვბრძანებ:**

1. არჩევით, თავისუფალ სასწავლო კურსებზე და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სარეგისტრაციო პროცესი განხორციელდეს აწსუ-ს ფაკულტეტების მიხედვით ელექტროდეკანატის მეშვეობით.
2. 2022-2023 სასწავლო წლის სარეგისტრაციო პროცესი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელდეს შემდეგი ვადების დაცვით:

- III-V-VII სემესტრის სტუდენტები არჩევანს ახორციელებენ 12 ივლისიდან 11 სექტემბრის ჩათვლით;
- II-IV-VI-VIII სემესტრის სტუდენტები არჩევანს ახორციელებენ საშემოდგომო სემესტრის საგამოცდო სესიის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ სასწავლო კურსს გააჩნია წინაპირობა;
- I სემესტრის სტუდენტებისათვის - მათი უნივერისიტეტში ჩარიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით).

3. 2022-2023 სასწავლო წლის სარეგისტრაციო პროცესი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელდეს შემდეგი ვადების დაცვით:

- III - სემესტრის სტუდენტები არჩევანს ახორციელებენ 12 ივლისიდან 11 სექტემბრის ჩათვლით;
- II - სემესტრის სტუდენტები არჩევანს ახორციელებენ საშემოდგომო სემესტრის საგამოცდო სესიის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ სასწავლო კურსს გააჩნია წინაპირობა;
- I - სემესტრის სტუდენტებისათვის - მათი უნივერისიტეტში ჩარიცხვიდან ერთი კვირის განმავლობაში (3 ოქტომბრიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით).

4. **ფაკულტეტის დეკანებმა:**

- მათთვის მისაღები ფორმით უზრუნველყონ სტუდენტების ინფორმირება ზემოთაღნიშულისა და აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №8 და №9 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ;
- პრაქტიკულად შეუწყონ ხელი და უზრუნველყონ ამ ბრძანების მეორე, მესამე და მეოთხე მუხლის ქვეპუნქტებით დადგენილ ვადებში არჩევით სასწავლო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაციის პროცესი.
- უზრუნველყონ კანონით განსაზღვრული მოთხოვნის დაცვა თითოეული სტუდენტის მიერ წლიურად არაუმეტეს 75 კრედიტის ათვისების შესახებ;
- 2022 წლის 16 სექტემბრისთვის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგინონ III-V-VII სემესტრის სტუდენტთა რეგისტრაციის საბოლოო შედეგები წარმოდგენილი ცხრილის სახით (იხილეთ დანართი -1) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად.
- შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად 2022 წლის 7 ოქტომბრისთვის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგონონ საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამის I სემესტრის სტუდენტთა რეგისტრაციის საბოლოო შედეგები წარმოდგენილი ცხრილის სახით (იხილეთ დანართი 1).

- შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად 2022 წლის 14 ოქტომბრისთვის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგონონ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I სემესტრის სტუდენტთა რეგისტრაციის საბოლოო შედეგები წარმოდგენილი ცხრილის სახით (იხილეთ დანართი 1).
- 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგონონ II-IV-VI-VIII სემესტრის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა რეგისტრაციის საბოლოო შედეგები წარმოდგენილი ცხრილის სახით (იხილეთ დანართი 1).
- 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგონონ II- სემესტრის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა რეგისტრაციის საბოლოო შედეგები წარმოდგენილი ცხრილის სახით (იხილეთ დანართი 1)
- უზრუნველყონ აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილი კრედიტებზე სტუდენტთა რეგისტრაცია და შესაბამისი სამართლებრივი აქტის წარმოდგენა სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის საფუძველზე.
- უზრუნველყონ ბრძანების კორპორაციული ფოსტით სტუდენტთა ინფორმირება.
- **მედიცინის ფაკულტეტის დეკანატმა უზრუნველყოს** აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურებით განსაზღვრულ სემესტრებში არჩევით, თავისუფალ სასწავლო კურსებზე და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სტუდენტთა დარეგისტრირების პროცესის ორგანიზებული წარმართვა შესაბამისი სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების მიზნით.

5. **ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურმა (ქ.ჭელიძე)**

- უზრუნველყოს ამ ბრძანების მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებილი სტუდენტთა სარეგისტრაციო ვადების დაცვა ელექტრონულ დეკანატში.

6. **ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა დეპარტამენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად:**

- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო - მეთოდურ განყოფილებას წარუდგინონ საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანილი არჩევითი და თავისუფალი კრედიტის განსაზღვრული სასწავლო კურსების დაზუსტებული ჩამონათვალი:

-პირველი სემესტრის -2022 წლის 21 ივლისამდე

-მეორე სემესტრის-სასწავლო პროცესის განახლებამდე ორი კვირით ადრე.

- უზრუნველყონ სტუდენტების ინფორმირება ზემოთაღნიშნულ საკითხებზე და მათ მიერ რეგისტრაციის ვადების დაცვა;

7. **სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა:**

- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო - მეთოდურმა განყოფილებამ (აკად.დოქტ. მ. ნიჟარაძე, აკად.დოქტ. ლ. ჭელიძე, აკად.დოქტ. თ. ლეშკაშელი, ვ. ნაცვლიშვილი) დეკანატის მიერ წარმოდგენილი შედეგების საფუძველზე არჩევითი, თავისუფალი კრედიტების სასწავლო კურსების და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სტუდენტთა გადანაწილებისას დაიცვან უნივერსიტეტში აკადემიური ჯგუფის ფორმირების დადგენილი ნორმატივები (ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი და მაგისტრატურის) სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ არჩევით დისციპლინებში ჯგუფში არანაკლებ 5 სტუდენტისა, სრული ჯგუფი არანალებ 15 სტუდენტისა, არასპეციალური უცხო ენის შემსწავლელ ჯგუფში არანაკლებ 12 სტუდენტისა).

- არჩევითი სასწავლო კურსების დაკომპლექტების შესაბამისი ბრძანების პროექტი სამსახურის უფროსმა პროფ.ი. ბასილაძემ წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტში დადგენილი ნორმატივის მოთხოვნების ჯგუფების ვერ დაკომპლექტების შემთხვევაში დარეგისტრირებულ სტუდენტს მიეცეს ხელახალი რეგისტრაციის უფლება ამ ბრძანების მეორე, მესამე, და მეოთხე მუხლით დადგენილი ვადებიდან ერთი კვირის განმავლობაში, პირადი განცხადებისა და შესაბამისი დეკანატის თანხმობის საფუძველზე.

8. **უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა** (ე.ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, უცხო ენათა შემსწავლელ ცენტრში და შესაბამის სამსახურებში.

9. **უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა** (ასოც.პროფ.თ.ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერისტეტის ვებ-გვერდზე, ძირითად მენიუს პუნქტში „სწავლა", ქვემენიუ: სასწავლო პროცესი;

10. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც.პროფ. შალვა კირთაძეს.

საფუძველი: აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილებები №8 და №9 (17/18).

რექტორი: პროფ.როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის
მართვის სამსახურის უფროსი პროფ.იმერ ბასილაძე

გვარი	სახელი	პირადი ნომერი	ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამა	საფეხური	სემესტრი	არჩევითი 1			არჩევითი 2			არჩევითი 3			შენიშვნა
						საგანი	საგნის კოდი	მასწავლებელი	საგანი	საგნის კოდი	მასწავლებელი	საგანი	საგნის კოდი	მასწავლებელი	